გეომედი ლაიფი Geomedi Life

№11 (12) 2023 წელი

უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

პირველი დღე უნივერსიტეტ გეომედში

უნივერსიტეტ გეომედში პირველად შემოაბიჯეს პირველკურსელებმა. სტუდენტებს ეს ლამაზი დღე მიულოცეს და წარმატება უსურვეს სწავლასა და სტუდენტურ ცხოვრებაში სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკის და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა და პროფესორ-მასწავლებლებმა. სტუდენტებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სწავლის პროცესის ძირითადი კომპონენტებისა და მეთოდიკის და საბიბლიოთეკო სერვისების შესახებ.

შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში მოეწყო ტრადიციული საზეიმო ცერემონია მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის. სტუდენტებს უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარინა ფირცხალავამ. მან გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა კურსდამთავრებულებს პროფესიულ საქმიანობაში. მათ ასევე სიტყვით მიმართეს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა.

კურსდამთავრებულებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

გამოსაშვები საღამო საზეიმო ტორტის გაჭრით, ქუდების მაღლა აყრითა და ფოტოების გადაღებით დასრულდა.

ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „მიკრობების ვირუსები“. 54 ქვეყნიდან მოწვეულ მეცნიერებს შორის იყო უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი სვარალი ჩოდნეკარი.

სვარალიმ მოხსენება გააკეთა თემაზე: “Clinical Report of Novel Therapy with bacteriophages”. პრეზენტაციისას მან განიხილა ახალი ბაქტერიოფაგური თერაპიის იზოლაციისა და კლინიკური გამოყენების პროცესი პან-რეზისტენტული ინფექციებისთვის. სვარალიმ მკაფიოდ და საინტერესოდ ისაუბრა მის მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შესახებ, გამოავლინა თავისი ცოდნა და უნარები. მისმა პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია კონფერენციის მონაწილეთა შორის, განსაკუთრებით ვირუსოლოგიის ექსპერტებისგან. კვლევითი სამუშაოების დროს მისი ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები - ხათუნა მაკალათია, ნინო გრძელიშვილი და ნათია ქარუმიძე.

კონფერენციაზე გაიმართა საინტერესო დისკუსია, მრგვალი მაგიდა, დაჯილდოება და სხვადასხვა სახის სოციალური აქტივობები.



ქალაქ ბუდაპეშტში ჩატარდა ევროპის ნევროლოგთა აკადემიის ერთკვირიანი მე-9 საერთაშორისო კონგრესი, სადაც უნივერსიტეტ გეომედიდან მიწვეული იყო მედიცინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი რიშმიტა საჩინ ტჰაკური. მისი მოხსენების თემა იყო “Why Neurology“. რიშმიტა ტჰაკურის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის და პირველი ადგილიც მოიპოვა.

კონგრესის დღის წესრიგი მრავალფეროვანი იყო: მოხსენებები, ლექციები, სემინარები, შემთხვევებზე დაფუძნებული დისკუსიები და ა.შ.

რიშმიტა საჩინ ტჰაკური: ,,ჩემთვის დიდი პატივი იყო წარმედგინა ჩემეული ხედვა ადამიანის სხეულის ყველაზე რთული ორგანოს - თავის ტვინის შესახებ კონგრესის მონაწილეებისათვის. მათთვის, ვინც იზიარებდა ჩემს ენთუზიაზმს და სიყვარულს ამ თემის მიმართ. გარდა იმისა, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ცოდნის შეძენისა, სასიამოვნო იყო ჩემი ზოგიერთი კერპის გაცნობა, პროფესიული და პირადი კონტაქტების დამყარება. მივიღე არაჩვეულებრივი გამოცდილება და ყველას ვურჩევ, მიიღონ მონაწილეობა ასეთ ღონისძიებებში. მჯერა, რომ სტუდენტებს ხშირად გვაქვს ის მეცნიერული ინტერესები, რომლებიც სცდება ჩვენი უნივერსიტეტის კურიკულუმების ფარგლებს. ეს გვიბიძგებს, რომ მოვიძიოთ მსგავსი გარე შანსები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ავაშენოთ, განვაახლოთ, გავამდიდროთ და გავამყაროთ ჩვენი საფუძვლები მეცნიერებაში“.

გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში რეზიდენტებისთვის ჩატარდა ლექცია და მასტერკლასი ენდოდონტიაში: „ენდოდონტიური მკურნალობის თანამედროვე ასპექტები.'' აღნიშნული შეხვედრა დაეთმო ენდოდონტიური მკურნალობის თანამედროვე მიდგომებს, აქტუალურ საკითხებს და მათი მკურნალობის რაციონალურად გადაჭრის გზებს. ლექციას უძღვებოდა კომპანია "Ivoclar"-ის ოფიციალური სფიქერი და ტრენერი საქართველოში, უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ფაკულტეტის პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - ნინო ჯაფარიძე. ლექციის შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია.

უნივერსიტეტ გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ექიმებმა ივლისის თვეში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ბათუმში გამართულ რიგით მეოთხე საერთაშორისო გამოფენაში სახელწოდებით "ექსპო ბათუმი 2023", რომელზეც მოწვეული იყო როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ქვეყნების 60-მდე სამედიცინო დაწესებულება. გამოფენაზე განხილული იყო ჩვენი დროის ჯანმრთელობის აქტუალური პრობლემები, მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, წარმოდგენილი იყო სამედიცინო აპარატურები და სამკურნალო საშუალებები. გაიმართა კონკრეტული კლინიკური შემთხვევების უახლესი მეთოდებით სამკურნალო ღონისძიებების განხილვა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის გაცვლა.

''საექიმო საქმიანობა პროფესიული მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე მოიაზრებს განვითარებასა და ცოდნის განახლებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კლინიკურ საქმიანობაში ჩართულ ექიმს უწევს სტუდენტებისთვის ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ვფიქრობთ, მსგავსი შეხვედრები ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანია, რადგან საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ სიახლეებს, ხელს უწყობს კოლეგებს შორის საინტერესო დისკუსიებსა და პრობლემების საუკეთესო საშუალებებით გადაჭრის გზების მოძიებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტ გეომედის ადმინისტრაცია მუდმივად უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ექიმთა გუნდის პროფესიულ განვითარებას, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით რექტორს, ქალბატონ მარინა ფირცხალავას. სწორედ ამიტომ, კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალი კომპეტენციის მქონე ექიმებით, რაც საშუალებას იძლევა პაციენტთა მკურნალობა იყოს უმტკივნეულო, ნაკლებად სტრესული და კეთილსაიმედო".

გიორგი მოდებაძე - საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმი



უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა ჰიტარტ ნირენბჰაი ვაიდიამ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა ინგლისურენოვანი წიგნები.

,,ჩემი გამოცდილება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით საოცარი იყო. 6 წლის განმავლობაში დავდიოდი ბიბლიოთეკაში, აქ გარემო შესანიშნავია. თანამშრომლები ძალიან მეგობრულები არიან, კარგად აკეთებენ თავიანთ საქმეს და ცდილობენ განავითარონ ბიბლიოთეკა. მე ნამდვილად მომენატრება აქაურობა და ყოველთვის დავაფასებ ამ მოგონებებს.

წარმატებები თითოეულ სტუდენტს და უნივერსიტეტ გეომედს.''

ჰიტარტ ნირენბჰაი ვაიდია - მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი შემდეგ თემებზე:

ა) ,,საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი მცენარეების, მათ შორის, ენდემური სახეობების გამოყენება ხალხურ და კლინიკურ მედიცინაში". მომხსენებელმა მარიამ კობიაშვილმა ისაუბრა საქართველოს ტერიტორიაზე ზოგიერთ მცენარეთა გავრცელებასა და მათი სამკურნალო პოტენციალის გამოყენებაზე, როგორც ხალხურ, ისე კლინიკურ მედიცინაში.

ბ) ,,საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების ქიმიური შედგენილობა და მათი ფუნქციები". მომხსენებელმა თორნიკე მინდიაშვილმა მონაწილეებს გააცნო საქართველოში გავრცელებული ზოგიერთ მცენარეთა შემადგენლობაში არსებული ძირითადი ქიმიური ნივთიერებები, ამ ნივთიერებათა სამკურნალო თვისებები და მცენარეთა ფიზიოლოგიურ პროცესებში მონაწილეობა.

სემინარებს ესწრებოდნენ უნივერსიტეტ გეომედის აკადემიური პერსონალი. სემინარმა ჩაიარა კითხვა-პასუხის რეჟიმში.